ტესტი დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისთვის
I-VI კლასები

სწორი პასუხები და შეფასების კრიტერიუმები

პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა

ქართული ენა და ლიტერატურა

1	**ბ**
2	**დ**
3	**ა**
4	**გ**
5	**ა**
6	**დ**
7	მაქსიმალური ქულა: 1
	I. **მათარა** II. **ალპინისტებს** III. **ჯოხით** **1 ქულა:** წინადადების სამივე წევრი სწორად არის ამოწერილი. **0 ქულა:** • წინადადების ერთი წევრი მაინც არასწორად არის ამოწერილი; • წინადადების ერთი წევრი მაინც არ არის ამოწერილი; • პასუხი არ არის მოცემული.
8	მაქსიმალური ქულა: 1
	1 ქულა: სამივე სიტყვისთვის სწორად არის შერჩეული ქართული შესატყვისები. **0 ქულა:** • ქართული შესატყვისი ერთი სიტყვისთვის მაინც არასწორადაა შერჩეული; • ქართული შესატყვისი ერთი სიტყვისთვის მაინც არ არის მოცემული; • პასუხი არ არის მოცემული.
9	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: წინადადებებში ხაზგასმული ორივე სიტყვისთვის მოცემულია შესატყვისი ფრაზეოლოგიზმი. **1 ქულა:** შესატყვისი ფრაზეოლოგიზმი მოცემულია მხოლოდ ერთ წინადადებაში ხაზგასმული სიტყვისთვის. **0 ქულა:** პასუხი არასწორია ან არ არის მოცემული.

10	მაქსიმალური ქულა: 1				
	ა	**ბ**	**გ**	**დ**	
	2	**3**	**1**	**2**	
11	მაქსიმალური ქულა: 1				
	ა	**ბ**	**გ**	**დ**	**ე**
	3	**1**	**2**	**4**	**1**

12	მაქსიმალური ქულა: 8	
	შეცდომა	**უნდა იყოს**
	ჩაუდეს	ჩაუწყვეს/ჩაულაგეს
	მამა-შვილური	მამაშვილური
	ლომისავით	ლომივით/ლომსავით
	ცემდა	სცემდა
	• თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით; • მხოლოდ შეცდომის გასწორება, სათანადო დასაბუთების გარეშე, ფასდება 1 ქულით; • მოსწავლის მიერ სწორად დაწერილი სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში შეფასებას აკლდება 1 ქულა.	

13	**ა**
14	**გ**
15.1	**გ**
15.2	**გ**
16	**გ**

17	მაქსიმალური ქულა: 1				
	ა	**ბ**	**გ**	**დ**	**ე**
	3	**5**	**2**	**6**	**1**
18	მაქსიმალური ქულა: 1				
	ა	**ბ**	**გ**	**დ**	
	6	**3**	**4**	**2**	

19.1	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: სწორად არის ახსნილი მოცემული მეტაფორული სახე, ყურადღება გამახვილებულია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებით შედგენილ გამოთქმაზე და გამოთქმის არსი მეექვსე კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით არის განმარტებული. **1 ქულა:** ძირითადად სწორად არის განმარტებული მხატვრული სახე, თუმცა, მსჯელობა ზედაპირულია და/ან არ შეესაბამება მეექვსე კლასის მოსწავლის ლექსიკურ კომპეტენციას. **0 ქულა:** • არასწორად არის განმარტებული გამოთქმის არსი; • პასუხი არ არის მოცემული.

19.2	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: განზოგადებულია დასმული საკითხი, მსჯელობის გასამყარებლად მოყვანილია ადეკვატური არგუმენტები/მაგალითები. მოცემული წინადადება მეექვსე კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით არის განმარტებული. **1ქულა:** • განზოგადებულია დასმული საკითხი, თუმცა, მსჯელობის გასამყარებლად არ არის მოყვანილი ადეკვატური არგუმენტები/მაგალითები. მოცემული წინადადება მეექვსე კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით არის განმარტებული. • არ არის განზოგადებული დასმული საკითხი, თუმცა, მოყვანილია ადეკვატური არგუმენტები/მაგალითები. მოცემული წინადადება მეექვსე კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით არის განმარტებული. • განაზოგადებულია დასმული საკითხი, მოყვანილია არგუმენტები/მაგალითები მსჯელობის გასამყარებლად, მაგრამ მსჯელობა ზედაპირულია ან არ შეესაბამება მეექვსე კლასის მოსწავლის ლექსიკურ კომპეტენციას. **0 ქულა:** • არასწორად არის განმარტებული გამოთქმის არსი; • პასუხი არ არის მოცემული.
19.3	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: მოსწავლეებისთვის გასაგები ენით ზედმიწევნით სწორად, სრულად არის განმარტებული მეტაფორულ სახე - მეტაფორაზე მსჯელობისას ამოსავალი სიტყვაა **ხროვა**. **1 ქულა:** • არის მცდელობა, მოსწავლეებისთვის გასაგები ენით განიმარტოს მეტაფორული სახე - მეტაფორაზე მსჯელობისას ამოსავალი სიტყვაა **ხროვა**, თუმცა, მსჯელობა ზედაპირულია, ნაკლებად დამაჯერებელია. • სწორად არის განმარტებული მეტაფორულ სახე - მეტაფორაზე მსჯელობისას ამოსავალი სიტყვაა **ხროვა**. თუმცა, მსჯელობა არ შეესაბამება მეექვსე კლასის მოსწავლის ლექსიკურ კომპეტენციას. **0 ქულა:** • არასწორად არის განმარტებული მეტაფორული სახე; • პასუხი არ არის მოცემული.
19.4	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: სწორად არის განმარტებული სოციალური სტრუქტურის არსი და არგუმენტირებულად/მაგალითების მოხმობით არის წარმოდგენილი მსჯელობა სოციალური სტრუქტურის თვალსაზრისით მგელსა და ადამიანს შორის მსგავსებაზე. პასუხი მოცემულია მეექვსე კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით. **1 ქულა:** • სწორად არის განმარტებული სოციალური სტრუქტურის არსი, მაგრამ არ

	არის წარმოდგენილი მსჯელობა სოციალური სტრუქტურის თვალსაზრისით მგელსა და ადამიანს შორის მსგავსებაზე. • არგუმენტირებულად/მაგალითების მოხმობით არის წარმოდგენილი მსჯელობა სოციალური სტრუქტურის თვალსაზრისით მგელსა და ადამიანს შორის მსგავსებაზე, თუმცა, არ არის განმარტებული სოციალური სტრუქტურის არსი. **0 ქულა:** • წარმოდგენილი მსჯელობა არასწორია. • პასუხი არ არის მოცემული.
19.5	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: წარმოდგენილია მსჯელობა მგელთან დაკავშირებულ სტერეოტიპებზე, მოყვანილია ადეკვატური მაგალითი, ასევე, დასახელებულია ნაწარმოები, რომელშიც მგელი დადებითი პერსონაჟია. **1 ქულა:** • წარმოდგენილია მსჯელობა მგელთან დაკავშირებულ სტერეოტიპებზე, მოყვანილია ადეკვატური მაგალითი, მაგრამ არ არის დასახელებული ნაწარმოები, რომელშიც მგელი დადებითი პერსონაჟია; ▪ წარმოდგენილია მსჯელობა მგელთან დაკავშირებულ სტერეოტიპებზე, მაგრამ არ არის მოყვანილი ადეკვატური მაგალითი ნაწარმოებიდან. ამასთან, დასახელებულია ნაწარმოები, რომელშიც მგელი დადებითი პერსონაჟია. **0 ქულა:** • წარმოდგენილია მხოლოდ ზედაპირული მსჯელობა მგელთან დაკავშირებულ სტერეოტიპებზე; • მოყვანილია მხოლოდ მაგალითი მგელთან დაკავშირებულ სტერეოტიპებზე; • დასახელებულია მხოლოდ ნაწარმოები, რომელშიც მგელი დადებითი პერსონაჟია; • წარმოდგენილი მსჯელობა არასწორია; • პასუხი არ არის მოცემული.
19.6	მაქსიმალური ქულა: 3
	3 ქულა: მოცემულია მწყობრი, დამაჯერებელი მსჯელობა საკითხზე, რატომ არის საჭირო მგლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენებისგან გათავისუფლება, მოყვანილია სათანადო მაგალითები სტატიიდან; საკითხი განზოგადებულია, მსჯელობა შეეხება არსებით პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება სტერეოტიპულ აზროვნებას. პასუხი მოცემულია მეექვსე კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით. **2 ქულა:** • მოცემულია მწყობრი, დამაჯერებელი მსჯელობა საკითხზე, რატომ არის საჭირო მგლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენებისგან გათავისუფლება, მოყვანილია სათანადო მაგალითები სტატიიდან; პასუხი მოცემულია მეექვსე კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით. • მოცემულია მწყობრი, დამაჯერებელი მსჯელობა, ზოგადად, სტერეოტიპულ აზროვნებაზე - მსჯელობა შეეხება არსებით პრობლემებს,

	რომლებიც უკავშირდება სტერეოტიპულ აზროვნებას. პასუხი მოცემულია მეექვსე კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით. **1 ქულა:** • განხილულია საკითხი, რატომ არის საჭირო მგლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენებისგან გათავისუფლება, თუმცა, მსჯელობა ზედაპირული და ნაკლებად დამაჯერებელია; პასუხი მოცემულია მეექვსე კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით. • განხილულია სტერეოტიპულ აზროვნებასთან დაკავშირებული პრობლემები, თუმცა, მსჯელობა ზედაპირული და ნაკლებად დამაჯერებელია; პასუხი მოცემულია მეექვსე კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით. **0 ქულა: შესრულებულია მხოლოდ ერთი მითითება:** • საუბარია საკითხზე, რატომ არის საჭირო მგლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენებისგან გათავისუფლება, რა პრობლემებს უკავშირდება სტერეოტიპული აზროვნება, თუმცა, მსჯელობა არათანმიმდევრული, არადამაჯერებელია; • მოყვანილია მხოლოდ მაგალითები ტექსტიდან; • პასუხი არ არის მოცემული.
20.1	მაქსიმალური ქულა: 1
	1 ქულა: სწორად არის განმარტებული მითითებული სიტყვა „**დასალიერი**“. **0 ქულა:** • პასუხი არ არის სწორი; • პასუხი არ არის მოცემული.

20.2	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: სწორად არის მითითებული, ტროპის რომელი სახეა გამოყენებული მოცემული მხატვრული სახის შესაქმნელად და მეოთხე კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით ზედმიწევნით სწორად არის განმარტებული ეს მხატვრული სახე. **1 ქულა:** • მეოთხე კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით სწორად არის განმარტებული მხატვრული სახე. **0 ქულა:** • დასახელებულია მხოლოდ ტროპის სახე; • პასუხი არ არის სწორი; • პასუხი არ არის მოცემული.
20.3	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: მეოთხე კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით არის ახსნილი, რა განწყობას გვიქმნის ავტორი ამ ლექსით და წარმოდგენილია მსჯელობა, რა საშუალებებით/რომელი მხატვრული ხერხებით აღწევს ამ ეფექტს. **1 ქულა:** • მეოთხე კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით არის ახსნილი, რა

	განწყობას გვიქმნის ავტორი ამ ლექსით, თუმცა, არ არის წარმოდგენილი მსჯელობა გამოყენებული მხატვრული ხერხების შესახებ. • მეოთხე კლასის მოსწავლეებისთვის გასაგები ენით არის წარმოდგენილი მსჯელობა ლექსში გამოყენებული მხატვრული ხერხების შესახებ, თუმცა, არ არის განმარტებული, რა განწყობას გვიქმნის ავტორი ამ ლექსით. **0 ქულა:** • დასახელებულია მხოლოდ ლექსით შექმნილი განწყობა; • დასახელებულია მხოლოდ ლექსში გამოყენებული მხატვრული ხერხები; • პასუხი არასწორია; • პასუხი არ არის მოცემული.

კითხვისა და წერის სწავლება

21	**დ**
22	**ბ**
23	**დ**
24	**დ**
25	**დ**
26	**ბ**
27	**ბ**
28	**დ**
29	**ა**
30	**ბ**

31.1	მაქსიმალური ქულა: 1
	1 ქულა: • მოცემულია შეკითხვა, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს დავალებაში მითითებული მიზნის მისაღწევად. ამასთანავე, მოცემულია შეკითხვის ადეკვატური სავარაუდო პასუხი. **0 ქულა:** • მოცემული შეკითხვა არ შეესაბამება მიზანს; • პასუხი არ არის მოცემული.
31.2	მაქსიმალური ქულა: 1
	1 ქულა: • დასახელებულია უნარი, რომლის განვითარებასაც ისახავს მიზნად მასწავლებელი დავალებაში მოცემული შეკითხვის გამოყენებით. ამასთანავე, მითითებულია შეკითხვის ადეკვატური სავარაუდო პასუხი. **0 ქულა:** • პასუხი ძალზე ზოგადია; • პასუხი არასწორია; • პასუხი არ არის მოცემული.

31.3	მაქსიმალური ქულა: 3
	3 ქულა: დასახელებულია სამი ძირითადი საკითხი, რომელთა შესახებაც საუბარია ტექსტში და მოცემულია თითოეული საკითხის უკეთ გასააზრებლად საჭირო დავალებები. **2 ქულა:** • დასახელებულია ორი ძირითადი საკითხი, რომელთა შესახებაც საუბარია ტექსტში და მოცემულია თითოეული საკითხის უკეთ გასააზრებლად საჭირო დავალებები. • დასახელებულია სამი ძირითადი საკითხი, თუმცა, მოცემულია მხოლოდ ორი საკითხის შესაბამისი დავალებები. **1 ქულა:** • დასახელებულია ერთი ძირითადი საკითხი, რომელთა შესახებაც საუბარია ტექსტში და მოცემულია ამ საკითხის უკეთ გასააზრებლად საჭირო დავალება; • დასახელებულია სამი ძირითადი საკითხი, თუმცა, მოცემულია მხოლოდ ერთი საკითხის შესაბამისი დავალება. **0 ქულა:** • დასახელებულია მხოლოდ საკითხები, მაგრამ არ არის წარმოდგენილი არც ერთი მათგანის შესაბამისი დავალება ან წარმოდგენილი დავალებები არ არის ადეკვატური; • წარმოდგენილია ძალზე ზოგადი დავალებები, რომლებიც არ ითვალისწინებს ტექსტის შინაარსს; • პასუხი არ არის მოცემული ან არასწორია.

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

32	ა
33	გ
34	დ
35	ა
36	ბ
37	გ
38	გ

ანალიტიკური წერა

39	მაქსიმალური ქულა: 13

I. შინაარსის რელევანტურობა*

ნაშრომი შეესაბამება მოცემულ საკითხს, პასუხობს დასმულ ამოცანებს.

2 ქულა:

- ნაშრომი პასუხობს დავალების ყველა მოთხოვნას, არ შეეხება არარელევანტურ საკითხებს.

1 ქულა:

- ნაშრომი მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს დავალების მოთხოვნებს;
- ნაშრომი პასუხობს დავალების მოთხოვნებს, თუმცა, მოცემულია არარელევანტური ინფორმაციაც.

0 ქულა:

- ნაშრომი არ პასუხობს დავალების მოთხოვნებს;
- შეეხება სრულიად განსხვავებულ საკითხს;
- წარმოადგენს დავალების პერიფრაზს.

**თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.*

II. დასაბუთება *

ნაშრომში ავტორის პოზიცია წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთებით, მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.

3 ქულა:

- მოცემულია საკითხის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, მოყვანილია დამაჯერებელი, მრავალფეროვანი, ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები, განხილულია კონტრარგუმენტები;

2 ქულა:

- მოცემულია საკითხის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, არგუმენტები მოყვანილია ყველა მოსაზრებისთვის;
- მოცემულია საკითხის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, არგუმენტითა და მაგალითით გამყარებულია მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება;

1 ქულა:

- არის დასაბუთების მცდელობა, თუმცა, არგუმენტები თუ მაგალითები ზედაპირული, ერთფეროვანი და არადამაჯერებელია;

0 ქულა:

- მსჯელობა არ არის ლოგიკური, თანმიმდევრული, მოსაზრებები არ არის გამყარებული მაგალითებითა და არგუმენტებით;
- მსჯელობა არ არის მოცემული.

** მსჯელობისას ფაქტობრივი შეცდომის დაშვების შემთხვევაში აპლიკანტს მეორე კომპონენტში დააკლდება 1 ქულა.*

	III. თხრობის ორგანიზება *ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.* **2 ქულა:** • ტექსტი სტრუქტურულად გამართულია - ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს; **1 ქულა:** • ნაწერში დასმულია საკითხი, თუმცა, მსჯელობა ზედაპირულია, წარმოდგენილი დასკვნა არ გამომდინარეობს მსჯელობიდან; წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი სტრუქტურული ნაწილი; ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი მონაკვეთი. **0 ქულა:** • ნაწერის მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას (რამდენიმე წინადადება, პატარა აბზაცი ა. შ.); მოსაზრებები, ტექსტის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად არ არის დაკავშირებული; ნაწერში არ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ნაწილები - საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა. **IV. სტილი, ლექსიკა** *აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილისტურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.* **3 ქულა:** • ნაშრომში არ გვხვდება სტილური ხარვეზები, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი. **2 ქულა:** • ნაშრომში გვხვდება უმნიშვნელო სტილური ხარვეზები, ტექსტი ლექსიკურად გამართულია, აზრი მკაფიოდ არის გამოხატული. **1 ქულა:** • ნაწერი ლექსიკურად მწირია, თუმცა, გამოყენებული ლექსიკა და სტილი მეტ-ნაკლებად შეეფერება საკითხს. • ნაშრომში გვხვდება მნიშვნელოვანი სტილური ხარვეზები, თუმცა, აზრი გასაგებად არის გადმოცემული. გამოყენებული ლექსიკა და სტილი მეტ-ნაკლებად შეეფერება საკითხს. **0 ქულა:** • ნაწერი ლექსიკურად ღარიბია; დაშვებულია უხეში სტილური შეცდომები; • გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა და სტილი.

	V. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია *ნაშრომი სინტაქსურად გამართულია, ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.* **3 ქულა:** • არ არის დაშვებული სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები, დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. **2 ქულა:** • დაშვებულია უმნიშვნელო სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები, თუმცა, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები ძირითადად დაცულია. **1 ქულა:** • დაშვებულია სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები, დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები **0 ქულა:** • დაშვებულია უხეში სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები. იმისათვის, რომ ნაშრომი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: • უნდა შეეხებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს; • არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს; • არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება - სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ. • შესრულებული უნდა იყოს ისეთი ხელწერით, როგორის წაკითხვაც შესაძლებელია. თუ ნაშრომი არ აკმაყოფილებს ამ პირობათაგან რომელიმეს, ის შეფასდება 0 ქულით. ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I და II კრიტერიუმების მიხედვით.

**თუ აპლიკანტი სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებს, ქულას ვერ მოიპოვებს.*

***თუ აპლიკანტი პასუხის გაცემისას დაარღვევს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, დააკლდება ქულა.*